განმარტებითი ბარათი
„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:
ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:
ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების, ქვეყნის წინაშე არსებული მზარდი გამოწვევის გათვალისწინებით, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ პანდემიაზე შესაბამისი რეაგირების მიზნით, გარკვეული ვადით შეზღუდული იყო რიგი უფლებები. მათ შორის, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, შეზღუდული იყო ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება, რამაც განაპირობა ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირების საქმიანობის უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით, ცალკეული ღონისძიებების გატარების აუცილებლობა. კერძოდ, ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირებისათვის გარკვეული გადასახადების გადახდის გადავადება და სხვა საგადასახადო შეღავათების დაწესება. სწორედ, აღნიშნული მიზნის მიღწევას ემსახურება წარმოდგენილი პროექტის მომზადებაც, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირების შემდგომ ხელშეწყობას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:
კანონის მიღება აუცილებელია ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების გათვალისწინებით შექმნილი რთული მდგომარეობის შესამსუბუქებლად ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირებისათვის.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:
კანონპროექტის მიღების შედეგად, ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ პირებს გარკვეულწილად შეუმსუბუქდებათ საგადასახადო ტვირთი - ქონების გადასახადის ნაწილში, რაც ხელს შეუწყობს მათ საქმიანობას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:
წარმოდგენილი კანონპროექტით საქართველოს საგადასახადო კოდექსში ხორციელდება შემდეგი სახის ცვლილებები:
კანონპროექტის მიხედვით საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლს ემატება 115[1] ნაწილი, რომლის შესაბამისადაც, ქონების გადასახადისგან, რომლის დეკლარირება ამ კოდექსით 2022 წელს არის გათვალისწინებული, გათავისუფლებულია ამ მუხლის 115-ე ნაწილის „ა“ – „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ საქმიანობებში გამოყენებული ქონება, გარდა მიწისა. კერძოდ, „ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის“ (სეკ 006-2016):
- 55.1 კოდით (სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები) ან/და 55.2 კოდით (დასასვენებელი და სხვა მოკლევადიანი განთავსების საშუალებები) გათვალისწინებულ საქმიანობაში გამოყენებული ქონება;

- 56.1 კოდით (რესტორნები და საკვებით მობილური მომსახურების საქმიანობები) გათვალისწინებულ საქმიანობაში გამოყენებული ქონება;

- 56.3 კოდით (სასმელებით მომსახურების საქმიანობები) გათვალისწინებულ საქმიანობაში გამოყენებული ქონება;

- 79 კოდით (ტურისტული სააგენტოები, ტურ-ოპერატორები და სხვა დაჯავშნის მომსახურება და მათთან დაკავშირებული საქმიანობები) გათვალისწინებულ საქმიანობაში გამოყენებული ქონება.

ამასთან, ცვლილების თანახმად, ამ შემთხვევაში საწარმო/ორგანიზაცია არ თავისუფლდება მიმდინარე გადასახდელის სახით ქონების გადასახადის გადახდისგან და იგი გადაიხდევინება გასული საგადასახადო წლის წლიური გადასახადის ოდენობით, მიუხედავად ამ ნაწილით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათისა, არა უგვიანეს საგადასახადო წლის 15 ივნისისა.

პროექტით, აღნიშნულთან მიმართებაში ასევე განსაზღვრულია „შენიშვნა“, რომლის მიხედვითაც, საგადასახადო შეღავათი ვრცელდება იჯარით, ლიზინგით ან სხვა ამგვარი ფორმით გადაცემულ ქონებაზეც, თუ ეს ქონება ამავე ნაწილით განსაზღვრულ რომელიმე საქმიანობაში გამოიყენება.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილი კანონპროექტის მიმართ. (კანონპროექტი არ არის ინიცირებული საქართველოს მთავრობის მიერ)

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონის საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მისი ამოქმედება გამოქვეყნებისთანავე. კანონის პროექტი არ ითვალისწინებს მისთვის უკუძალის მინიჭების საკითხს.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არსებითად მნიშვნელოვანია რიგი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით. კერძოდ, შესაბამისი ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი გადასახადის გადამხდელების მიმართ **2022 წლის 1 აპრილიდან წარმოშობილია აღიარებული საგადასახადო ვალდებულებები** და აღნიშნული საგადასახადო ვალდებულებების გათვალისწინებით ხდება შესაბამისი **საურავების დარიცხვა.** ზემოაღნიშნული მძიმე ტვირთად აწვება იმ გადასახადის გადამხდელებს, რომლებზეც ეკონომიკურ საქმიანობაში ხელშეწყობის მიზნით გათვალისწინებულია პროექტით დადგენილი საგადასახადო შეღავათის გავრცელება.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია წარმოდგენილი კანონპროექტის მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში მიღება, რათა ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ პირებს მიეცეთ საგადასახადო შეღავათით სარგებლობის შესაძლებლობა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი სახსრების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, კერძოდ, 2022 წელს, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს დააკლდება დაახლოებით 39 მლნ. ლარი, რაც დეტალურად წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

N	აღწერა	გადასახადის სახე	გადამხდელთა რაოდენობა	ქონების ღირებულება	შეღავათის ოდენობა ₾
1	309-ე მუხლის 115-ე ნაწილით 2021 წელს ქონების გადასახადზე გავრცელებული შეღავათი (იურიდიული პირები)	ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	2044	3 480 811 511	34 808 115
2	309 მუხლის 115-ე ნაწილის 2022 წელს გავრცელების შემთხვევაში დამატებით საპროგნოზო განთავისუფლებული ქონების ღირებულება	ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	1036	440 997 069	4 409 971
	სულ საპროგნოზო შეღავათის ოდენობა 2022 წელს		**3080**	**3 921 808 580**	**39 218 086**

რაც შეეხება საპროგნოზო შეღავათების გადანაწილებას რაიონების მიხედვით, ეს ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

რაიონის კოდი	რაიონის დასახელება	საპროგნოზო შეღავათის ოდენობა (ქონების გადასახადი)
	სულ ჯამი	39,218,086
77	თბილისი	17,705,461
69	ბათუმი	9,718,130
86	თელავი	2,083,173
71	ქობულეთი	1,270,098
62	ბორჯომი	1,005,434
16	ყაზბეგი	918,059
15	დუშეთი	762,231
78	მცხეთა	637,414

90	ოზურგეთი	595,511
72	ხულო	594,916
18	ქუთაისი	453,564
50	გურჯაანი	395,846
56	ყვარელი	368,918
82	ზუგდიდი	353,089
52	სიღნაღი	334,164
25	წყალტუბო	306,689
24	ბაღდათი	261,300
12	წალკა	230,685
6	რუსთავი	207,214
73	ხელვაჩაური	169,448
41	მესტია	121,026
84	გორი	86,206
88	ახალციხე	84,379
46	ხაშური	70,185
22	საჩხერე	58,441
32	ონი	45,653
42	ფოთი	44,802
57	ლაგოდეხი	32,783
64	ლანჩხუთი	30,014
55	საგარეჯო	25,727
44	კასპი	22,849
9	ბოლნისი	22,643
80	ამბროლაური	20,798
21	სამტრედია	20,626
65	ჩოხატაური	19,748
19	ზესტაფონი	19,623
74	შუახევი	15,074
20	თერჯოლა	11,609
11	გარდაბანი	8,444
28	ხარაგაული	7,990
70	ქედა	7,888
54	ახმეტა	7,605
60	ახალქალაქი	7,486
35	მარტვილი	7,250
27	ტყიბული	7,172
37	სენაკი	5,638
14	თიანეთი	5,474
59	ასპინძა	4,626
10	მარნეული	4,073
23	ვანი	3,525
45	ქარელი	3,195

61	ადიგენი	3,098
40	ხობი	2,619
17	ახალგორი	2,263
26	ჭიათურა	2,202
8	თეთრიწყარო	1,431
36	აბაშა	1,042
39	წალენჯიხა	755
33	ცაგერი	410
53	დედოფლისწყარო	213
38	ჩხოროწყუ	83
63	ნინოწმინდა	50
29	ხონი	27

- ✓ *იმ დათქმით, რომ 2021 წელს გავრცელებული შეღავათის ოდენობა უცვლელი იქნება 2022 წლისათვის დამატებით პოპულაციად მიჩნეული გადამხდელების, რომელთაც საინფორმაციო ბარათის მიხედვით უფიქსირდებათ 309-ე მუხლის 115-ე ნაწილში აღწერილი საქმიანობა და წარდგენილია 2021 წლის ქონების დეკლარაცია.*

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფო მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტი დადებითად იმოქმედებს იმ პირებზე (საპროგნოზო/სავარაუდო მაჩვენებელი - 3080 გადამხდელი), რომლებზეც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე ტიპის გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტი არ ახდენს ზეგავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტის მომზადება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: დავით სონღულაშვილი, გოჩა ენუქიძე, ეკა სეფაშვილი, ვასილ ჩიგოგიძე, ელგუჯა გოცირიძე, გელა სამხარაული, ირმა ზავრადაშვილი, რამინა ბერაძე

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: დავით სონღულაშვილი, გოჩა ენუქიძე, ეკა სეფაშვილი, ვასილ ჩიგოგიძე, ელგუჯა გოცირიძე, გელა სამხარაული, ირმა ზავრადაშვილი, რამინა ბერაძე